გეომედი ლაიფი Geomedi Life

№18 (19) 2025 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

13 ივნისს უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები მედიცინის, სტომატოლოგიის, რეაბილიტაციის, ეკონიმიკისა და მენეჯმენტის დარგებიდან. თითოეული გამომსვლელის შემდეგ, განხილული თემის გარშემო გაიმართა დოსკუსია. კონფერენციის ბოლოს კომისიამ შეაფასა და გამოავლინა საუკეთესო მომხსენებლები:

I ადგილი - Swarali Chodnekar (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი ზურაბ ცეცხლაძე);

II ადგილი - Pooja Hiteshbhai Rajput (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი ეკატერინე ყიფიანი);

III ადგილი - ალექსანდრე ასანიძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი ბესიკ ასანიძე);

ჟიურის სიმპატია - მარიამ ტყეშელაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი ქეთევან კობიაშვილი).

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით, მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები გამოქვეყნდება სტუდენტების ნაშრომთა კრებულში ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციის მასალები''.

2025 წლის 19 მაისს უნივესიტეტ გეომედის სტუდენტებისათვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „სწრაფი მეთოდები სპორტულ რეაბილიტაციაში.'' მომხსენებელი სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი, პროფესორი ზურაბ კახაბრიშვილი სტუდენტებს ესაუბრა ფიზიკური მედიცინისა და სპორტული რეაბილიტაციის სამიზნე ნიშნულებზე, სპორტულ კვებაზე, ინტერვენციებსა და სარეაბილიტაციო მართვის ეფექტურობაზე სპორტსმენის სპორტში ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციაში დაბრუნებისთვის.

სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული ლექციის მსვლელობაში. კერძოდ, ლექციის მეორე ნახევარში ზურაბ კახაბრიშვილმა ჩაატარა კიტეზოტეიპირების მასტერკლასი სხვადასხვა დაზიანებებისა და პათოლოგიების შემთხვევებში. სემინარის ბოლოს მსმენელებს გადაეცათ კინეზოტეიპები და სხვა დამხმარე საშუალებები.

უნივერსიტეტ გეომედის სტომატოლოგიის ფაკულტეტმა და საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურმა კლინიკამ უმასპინძლა ქ. თბილისის № 144 საჯარო სკოლის მასწავლებლებსა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს. შეხვედრაზე ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ისაუბრა სტომატოლოგიის მიმართულებებზე, გამოწვევებზე და იმ სიახლეებზე, რაც ამ სფეროში ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე ინერგება. ასევე, განიხილეს სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი მიღწევის გზები, უნივერსიტეტში დანერგილი შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები. სტუმრებს გააცნეს და დაათვალიერებინეს საუნივერსიტეტო და სტომატოლოგიის ფაკულტეტის მატერიალური რესურსები - საფანტომო ლაბორატორიები, სიმულაციური კლინიკა, სარეზიდენტო სივრცე, საგამოცდო ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ა.შ., რამაც დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. სკოლის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვნენ ფაკულტეტისა და სტომატოლოგიური კლინიკის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში. შეხვედრაზე განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

პროექტის მიზანია, ახალგაზრდა თაობისთვის პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრასა და გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში ხელშეწყობა და მხარში დგომა.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტთან არსებული მენეჯმენტისა და ბიზნესის ლაბორატორიამ მემორანდუმი დადო თბილისის №144 - ე საჯარო სკოლასთან, რომელიც ითვალისწინებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტ გეომედში შეხვედრებისა და ლექციების ჩატარებას სხვადასხვა თემაზე. პირველი ლექცია დაეთმო ლიდერობას, რომლის შესახებაც მოსწავლეებს ესაუბრა ასოცირებული პროფესორი ლევან ლაზვიაშვილი.

მორიგი შეხვედრა პრაქტიკული ხასიათის იყო და პირველად სამედიცინო დახმარებას შეეხებოდა. პროფესორ არჩილ კაპანაძესთან შეხვედრის დროს მოსაწვლეებმა შეისწავლეს და უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა აქტივობებში - თუ როგორ უნდა მოიქცნენ ექსტრემალურ და გადაუდებელ სიტუაციებში. უნივერსიტეტ გეომედის პროფესორმა სუზანა დობორჯგინიძემ მოსწავლეებთან ლექცია ჩაატარა ისეთ საინტერესო თემაზე, როგორიცაა დროის მენეჯმენტი.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი შეხვედრებში, სვამდნენ შეკითხვებს და მონაწილეობას იღებდნენ შეთავაზებულ აქტივობებში.

უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტურმა აკადემიურმა საზოგადოებამ (SAS) უმასპინძლა ღონისძიებას ,,MedHeist'': The Escape Protocol-ს, რომელმაც გააერთიანა გუნდური მუშაობა, სამედიცინო მსჯელობა და პრაქტიკული სწავლება. საღამო გაიხსნა მისასალმებელი სიტყვითა და დღის გეგმის გაცნობით. წარმოდგენილი იყო ოთხი გუნდი: Arterial Blues, Red Pulse, White Coat Warriors, and Blackout Medics. გუნდები სპეციალურად შექმნილ ოთხ სადგურში გადანაწილდნენ, სადაც მოწმდებოდა მონაწილეთა უნარები, აზროვნება, სამედიცინო კონცეფციების გამოყენება, მუშაობა დაძაბულ გარემოში და ა.შ.

სადგურზე ,,Anatomy Arena'' მონაწილეებს უნდა ამოეცნოთ ანატომიური მინიშნებები და ამოეხსნათ ამოცანები, რომლებიც ამოწმებდნენ სისტემებისა და სტრუქტურების ცოდნას. ,,Lockdown: Consult and Conquer'' სადგურზე სტუდენტებს გამოავლინეს კლინიკური უნარები. სადგური ,,First Aid Frenzy''-ში შემოწმდა სტუდენტების სწრაფი აზროვნება საგანგებო სიტუაციებში, როგორებიცაა დამწვრობა, გულ-ფილტვის რეანიმაცია, გველის ნაკბენის შეფასება და ა.შ. და ბოლოს, ,,Emergency Medicine'' სადგურზე მონაწილეები შეფასდნენ ტრიაჟის ვარჯიშების, პაციენტის სწრაფად შეფასების, კრიტიკული გადაწყვეტილებების მიღების მიხედვით და ა.შ.

სპეციალურად მოწყობილ სადგურებზე მონაწილეები სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგებოდნენ, მაგალითად, როგორიცაა ანატომიური მინიშნებები, საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება, კრიტიკული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების შერწყმა და ა.შ. საღამო Blackout Medics-ის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ღონისძიება ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ,,სტუდენტური ფესტივალი 2025''-ის ფარგლებში გამართულ ტურნირებში.

მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა - მარიამ კულუმბეგაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მაგიდის ჩოგბურთის ტურნირში. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის I კურსის სტუდენტმა ლიზა კალინინამ კი მეორე ადგილი ცურვასა და სპრინტში.

„სტუდფესტი“ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, ახალგაზრდობის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით ხორციელდება. ფესტივალი ხელს უწყობს ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას, ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებს შორის კულტურული და შემოქმედებითი იდეების გავრცელებას, ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაციას და ა.შ.

ფესტივალი მოიცავს უნივერსიტეტებს შორის სპორტული ტურნირების ჩატარებას და კულტურული, საგანმანათლებლო და მოხალისეობრივი აქტივობების გამართვას.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის წარმომადგენლები და სტუდენტები სტუმრობდნენ გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს. სტუდენტებმა დაათვალიერეს კლინიკა და კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა სიღრმისეულლად გააცნეს სტუმრებს მათი მუშაობის სპეციფიკა, დანერგილი ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები, რომლებიც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელდა კვლევით ინსტიტუტში. სტუდენტების ვიზიტი კითხვა- პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აღნიშნული ღონისძიება, სტუდენტების აზრით მეტად საინტერესო, ნაყოფიერი და სასარგებლო იყო მათთვის.

უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები, მათი ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ლელა აფციაურის ინიციატივით სტუმრად ეწვივნენ ოლიმპიურ მუზეუმს. სტუდენტებს უმასპინძლა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა და სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა, ათგზის ოლიმპიური თამაშების მონაწილემ, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ნინო სალუქვაძემ. სტუდენტები გაეცნენ მუზეუმში წარმოდგენილ მასალებს, ძველ და ახალ წყაროებს, რაც დამთვალიერებლებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოუთხრობს ოლიმპიზმის წარსულსა და დღევანდელობაზე, ქართული სპორტის ოლიმპიურ ისტორიაზე. შეხვედრის დასასრულს სტუდენტებს უჩვენეს ფილმი - „ერთი ჩემპიონის ისტორია“ ლეგენდარული ტყვიის მსროლელის ნინო სალუქვაძის შესახებ.

ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II -ის ქუჩა #4. ტელ: 275-25-20 **ვებგვერდი:** www.geomedi.edu.ge **ელ-ფოსტა:** info@geomedi.edu.ge
პასუხისმგებელი პირები: **ნათია ბუაძე, ნანა ცერცვაძე**